2/1952

საახალწლო მარჩიელობა

ჰარი ტრუმენი:—დაგლახვროს ღმერთმა! სამას სამოცდაექვს დღეში ნუთუ ჩემთვის ერთიც არაა ისეთი, რომ გამახაროს!?

2/1952 №1-24.

№ 1 თბილისი იანვარი 1952 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXIX ფასი 2 მან

ახალი წლის სურათები საზღვარგარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარ-მასპინძლობა

ნახ. მ. ოთარ-ისა



ამერიკელი ძია და დე-გასპერი იტალიაში ახალ წელს ისევ ერთად შეხვდნენ, — სტუმარ-მასპინძელი, როგორც ხედავთ, თავს ბედნიერად გრძნობს...

ტრუმენ-ფაშა თურქეთში

ნახ. გ. იაშვილისა



— ნუთუ წელსაც ამ დღეში უნდა ვიყოთ?!..



ნახ. ი. თბილელისა

აჩესონური განმარტება

ჩვენი სამხედრო მზადება შარშან სხვა იყო, ალბათ დაინახავდით!

წელს კი, უცქირეთ: დაბლა დაეშვა, აი, აქედან, აი, აქამდე...

„საუკეთესო მომსახურებისათვის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინიგზით მგზავრობას რომ წარმოვიდგენ, წინასწარ ვღელავ! ცუდად ნუ ჩამომართმევთ და არც რკინიგზელებისადმი ვარ სასიკეთოდ განწყობილი (ერთის გარდა, რომელიც ჩემი მეზობელია და, მართალი გითხრათ, მეტად სიმპათიური ქალია, ვაგონის გამცილებლად მუშაობს). რკინიგზელებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ალბათ, მათი ცუდი მომსახურებიდან გამომდინარეობს, თორემ მე რა მაქვს მათთან გასაყოფი, რევიზორი ხომ არა ვარ!

ასეა თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს ხელთ ჩავუგდე ჩემი თავი რკინიგზელებს. სამსახურებრივი მოვალეობის გამო მივლინება არ ამცდა სოხუმში.

მატარებლის გასვლას 45 წუთი აკლდა, როცა სადგურზე გავჩნდი. პერონზე თითქმის სირბილით შევიჭერი. მიყვარს თადარიგი, რადგან გამოცდილებიდან ვიცი, რომ ხანდახან ადგილი № 8 დერეფანშიც აღმოჩნდება ხოლმე.

თან ისეთ საბრძოლო განწყობილებაზე ვიყავი, რომ ერთი მხარის გაკვრით გავფანტავდი პლაცკარტიანი ვაგონის წინ მოვაჭრე უბილეთო მგზავრებს.

ჩემდა საუბედუროდ ვაგონის წინ მარტო გამყოლი იდგა ნათურით ხელში. სულ ჩემი ცოლის ბრალია. ადრეაო მეუბნებოდა. რომელი გამოცდილი მგზავრი მოდის იმ დროს, როცა მატარებლის გასვლას სულ რაღაც 45-ოდე წუთი აკლია? ახლა ვინღა მომაშავებს ჩემს ადგილს? ვფიქრობ და თვალი კუპეებისკენ მიჭირავს.

— ახლავე გაანთავისუფლეთ ჩემი საწოლი, თორემ საშინელ სკანდალს ავტეხ!—ჯიქურ ვეცი გამცილებელს, რომელიც, ალბათ, ასეთ რიხიან შემოტევას არ მოელოდა და შეშინებულმა ცოტა უკან დაიხია.

— რაშია საქმე, მოქალაქევ? მაჩვენეთ თქვენი ბილეთი. რატომ ღელავთ, დამშვიდდით, დამშვიდდით!—მომმართა ისეთ მშვიდ კილოზე, რომ კინაღამ გავბრიყვდი და მართლა დავმშვიდდი. მაგრამ რომ წარმოვიდგინე თუ რა მომელოდა უადგილოს, უფრო ავენთე.

— მე მაშინ დავმშვიდდები, როცა იმ ვიღაც თავხედს გადმოაბრძანებთ ძირს!—მივუთითე ერთ-ერთ კუპეში არხეინად წამოწოლილ ახალგაზრდაზე.

— თქვენი მერვე ადგილი ყოფილა. რატომ გგონიათ, რომ დაკავებულია? მიბრძანდით მეორე კუპეში! ქსენია, მიიღე მგზავრი!—მიაძახა ვიღაცას და კიბეზე ასულს ზრდილობიანად დამიყვავა.—არ ვარგა ასეთი ფიცხობა, მეგობარო.!

ალბათ, ვიღაცა „დიდი ვინმე" ვგონივარ, გავიფიქრე და პირველი გამარჯვებით გახარებული ვაგონში შევედი.

ჩემსკენ მომაყალ ქალს პირდაპირ შევეხეჩე.

— რა ამბავია, მოქალაქევ, სტადიონზე ხომ არა ხართ!—მომესმა ნაზი ხმა.

მე ადგილზევე გავშეშდი.

— ბოდიში, ეს თქვენა ხართ? არ მოველოდი, მაპატიეთ.—წავილუღლუღე დარცხვენილმა.

ჩემს წინ ჩემი მეზობელი ქსენია იდგა.

— ო, პატივცემულო ვახტანგ, თქვენ? როგორ მოხდა? აკი ამბობდით: თქვენს ვაგონში არ ჩავჯდებიო. აი, ხომ ხედავთ, „მთა მთას არ შეხვდება..."—არ დააბოლოვა ანდაზა და ბილეთი გამომართვა.—მერვე ადგილია ხომ? აქეთ მობრძანდით.

იქვე კუპეში შევედით.

— აი, ეს იქნება თქვენი ადგილი. არ მოიწყინოთ.—გამიღიმა კეკლუცად და გარეთ გავიდა.

თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა საწოლი თავისუფალი აღმოჩნდა, კუპე კი ლენინგრადის ავეჯივით სუფთა და ლამაზი.

ჩემს გარდა კიდევ სამი კაცი იყო, რომელთაც უკვე მოესწროთ ერთმანეთის გაცნობა.

— ხომ არაფერი გნებავთ?—შემოჰკო თავი ქსენიამ.

— ლოგინი გაგვიწყეთ!—თითქმის ერთხმად უთხრეს ჩემმა თანამგზავრებმა და საუბარი განაგრძეს.

— თქვენ არ გინდათ ლოგინი, პატივცემულო ვახტანგ?—მომმართა ქსენიამ.

ვაგონის თეთრეული თქვენც კარგად იცით რა შვილია, მაგრამ სუსტი ნებისყოფისა ვარ და წუთში მოვლბები, როცა ქალი კეკლუცად მიღიმის, ისიც მეზობელი. სხვა რომ არ იყოს, ეზოში ამომაგდებს, იტყვის: 10 მანეთის გადახდა დაენანაო.

— მომიტანეთ, მომიტანეთ!—მექანიკურად დავუქნიე თავი და წარმოვიდგინე მეორე დილა, როცა გასრესილი ბაღლინჯოები ზეწარს კალმახის ზურგივით ააჭრელებდნენ.

კარებში ჯერ ლოგინი გამოჩნდა, შემდეგ ქსენია—მომღიმარი სახით.

ყველანი წამოვდექით და დერეფანში გავედით. ხუთ წუთში ლოგინები მზად იყო. გუნებაში მეცინებოდა. რა ბედი ჰქონიათ ამ მგზავრებს. მე რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ, ზედაც არავინ შეხედავდა-მეთქი.

გადავწყვიტე არ დამეძინა და ქსენიასთან საუბარში გამეტარებინა ღამე.

— ქსენია, თუ არ შეწუხდებით, რადიო ჩართეთ.—მივმართე, როცა დერეფანში გამოვიდა.

— ნუ გეწყინებათ და თორმეტი საათის შემდეგ ჩვენ რადიოს არ ვუერთებთ, ახლა კი ხომ ხედავთ, ორი დაიწყო, მგზავრებს ძილი უნდათ, დროა თქვენც მოისვენოთ. ვერ ატყობთ, რომ გაცდენთ? ღამე მშვიდობისა!—მითხრა მოფერებით და მეზობელ კუპეში მიიმალა.

მართალი გითხრათ, მეც მომერია დაღლილობა და გავწირე თავი ბაღლინჯოების შესაჭმელად.

ჩემს თანამგზავრებს სინათლე ჩაექროთ და ტკბილად ეძინათ. მეც უსიტყვოდ გავიხადე და დავწექი.

— ასე თუ იძინეთ, სოჭაში ამოჰყოფთ თავს.

თვალები გავახილე. ჩემს წინ ქსენია იდგა და ღონივრად მანჯღრევდა. კარგად გათენებულიყო. ჩემი თანამგზავრები მადიანად შეექცეოდნენ დილის საუზმეს. სარკმელში ზღვის ჰორიზონტი ლაპლაპებდა.

დაფეთებული წამოვხტი ზეზე და ზეწარს დავხედე, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება: ზეწრის სისუფთავე ჩემს ცოლსაც შეშურდებოდა.

მადლობის თვალით შევხედე გამყოლს, რომელსაც მეზობლისათვის საკუთარი ზეწარიც არ დაენანებინა.

— ინებეთ პირსახოცი.—გამაწყვეტინა ფიქრი ქსენიამ და ხელში გაქათქათებული პირსახოცი ჩამიდო.

მეტი რა გზა მქონდა, გამოვართვი. სუფთა და ლამაზ პირსაბანში საპონიც დამხვდა. უნებლიედ გამეცინა. ასეთი მზრუნველობა უკვე მეზობლობის საზღვარს სცდებოდა. ბედით კმაყოფილი ვიყავი.

კუპეში მხიარული დავბრუნდი. მალე რადიოც ამღერდა და ჩემს განწყობილებაში მეტი სიხალისე შეიტანა.

გამოჩნდა სოხუმი. ჩემოდნით ხელში ქსენიას კუპეში შევედი, რათა მადლობა გამომეცხადებინა ჩემი და ჩემი თანამგზავრების მაგივრად.

— რასა ბრძანებთ, პატივცემულო ვახტანგ, ეს ხომ ჩემი მოვალეობაა?

„მოვალეობა თუ მეზობლობის პატივისცემა?" მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე და გამოვბრუნდი.

მატარებელი მძიმედ დაიძრა.

ნელა ჩაიარეს ვაგონის ფანჯრებმა. ერთ ფანჯარასთან გაკრულმა პლაკატმა მიიპყრო ჩემი ყურადღება:

„საუკეთესო მომსახურების ვაგონი".

ახლა კი ამეხილა თვალები.

კარებისკენ გავიხედე. ქსენია სანდომიანად იღიმებოდა. მე შემრცხვა და გაუბედავად დავუქნიე ხელი. ყველა მგზავრის მაგივრად ვუხდიდი მადლობას „საუკეთესო მომსახურებისათვის".

ბ. ფირცხალავა

ყრუ-მუნჯთა შესახებ

(ხ. ბრეთი)

— ისევ ისეა?

— ისევ ისეა...

— მაინც რასა იქს?

— რა უნდა ქნას, ბეღურების ბუდედ ქცეულმა? ჰკიდია ანძაზე და სდუმს.

— ეს, ასე ყოფილა მუნჯის ბედი: შესცივა — ვერაფერს გეტყვის, დასცხება — ხმას ვერ ამოიღებს, გული ბოღმით ევსება, მაგრამ ენა არა აქვს.

— კიდევ კარგი, რომ მუნჯია, თორემ საქვეყნოდ დაიძახებდა: „ჰაი, მავანო და მავანო, მოდი მიხსენი ქარელის რაიონის რადიოქსელის მუშაკების დაუდეგრობისაგან, თორემ მოთმინება დავკარგეო, ოთხმა სოფელმა ფული დახარჯა. გამაკეთა და როცა ხმა ჩამიწყდა, კაცმა არ იფიქრა ჩემს შეკეთებაზეო.

ასეთ ლამპარაკს ყური მოვკარ ქარელიდან ბრეთისკენ მიმავალმა. მიეხვედი: ეს საუბარი ბრეთის, რეისის, საღო-

ლაშნისა და არადეთის რადიორეპროდუქტორებს შეეხებოდა. მიეხვდი და გავიფიქრე: სიმუნჯეზე ნაღლები არც სიყრუეა-მეთქი! მათ ენაც რომ ამოიდგან, ვინ გაუგონებს, როცა ქარელის რადიოქსელის მუშაკებს ყურები ბამბაძველითა აქვთ დაცული?

ბრეთელიძე

მიიწ-მოიწით!

(ქარელი)

— მიიწ-მოიწით, შბაპთან მამიშვით, ხომ ხედავთ გასაანული ვარ!

— აქედან გამეცალე, თორემ...

— თორემ რა?

— ის, რომ მე აქ ხუთი კაცის შემოსვლის ფასი გადავიხადე, მაშასადამე, შბაპიც ჩემია.

— შენ რა წითელი კოპი ხარ, რომ წყალს იჩემებ.

— ის მე ვიცი...

— მაშ ესეც იცოდე...

ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ „ლაწანი“ ყბებში, ან მუშტის ბაგუნი, ან ქიდაობის მოწმე გახდეთ.

სად ხდება ეს, არ გაინტერესებთ?

ეს ხდება ქარელის აბანოში. ხდება იმიტომ, რომ აბანოს ორიეე განყოფილებაში თითო ონკანია, თითო ონკანთან საათში 5-6 კაცს უშვებენ, ფულს

ახდევინებენ და ფიქრობენ, რომ ამით მომსახურებას უწევენ ხალხს.

ცუდი როდი იქნება. თუ ქარელის კომგანმრიც შევა ვინმე და ეტყვის:

— მიიწ-მოიწით!

ბ. ჭაიპურტაშვილი

საყოველთაო ჩვენი ხიდი

— ვაი, ჩვენი ბონდის ხიდო,
გაწყვეტილო ბაწარო,
რა იქნება ბუჯის წყალზე
ძველებურად გვიტაროო?

ასე შეღაღადებენ მდინარე ბუჯის ნაპირთან სოფელ რცხილათში გასვლის მსურველი მოწფეები და კოლმეურნეები ჩვენს საცოდავ ხიდს.

მაგრამ როგორ უნდა ატაროს ისინი ბონდის ხიდმა, როცა ის სამი წელია, რაც ჩაინგრა, ბაგირები დაწყდა და წყალში ჩაეშვა?

სოფლის ხელმძღვანელ მუშაკებს ხომ არ გულისხმობენ?

ეაო ჩემო, რისთვისაო, როცა რცხილათის საბჭოს თავმჯდომარეს ისე კარგი ცხენი ჰყავს, რომ ადიდებულ ბუჯშიც მშვენივრად გადის? კოლმეურნეობის თავმჯდომარის მანქანისათვისაც, ღმერთმა უშველოს, მშვენიერი ფონები აღმოაჩინეს ორივე ნაპირზე.

რაც შეეხება რაიონის ხელმძღვანელ სხვა მუშაკებს, მათ სულაც არ უხდებათ რცხილათში სიარული და ისიც კი არ იციან, თუ ამ მდინარეზე ბონდია საჭირო.

ს ა ბ ნ ი

მაფი სიმღერა

ტრესტისა თუ კომბინატის
საყვარელო მმართველო,
კომბინატორ ყმაწვილების
სულის გამომხატველო,
გამოცანცალა-გამორჩენა
გულით გვიყვარს ყვინჩილებს,
ისევ ფრთებქვეშ შეგვიბუდრე,
როცა ვინმე გვიჩიენებს!
თუმცა ყველგან აგვიქშიეს,
სასჯელს მაინც არ ველით,—
თქვენ ხართ ჩვენთან ქმაყოფილი,
ჩვენ კი—ჩვენი მფარველით!

ჩვენი მინამღერი

სხვისი ფულის და საკუთარ
ფრთა-ბუმბულის მოყვარეე,—
რომ იცოდე სიძულვილი
ჩვენს გულს როგორ მოგვარე!
დინჯად ზიხარ, როგორც კრუხი,
გვესმის შენი კრიახი,
მაგრამ შენზე მედგარი ვართ,
შენზე თვალგამჭრახი!
სამართალი როცა გაგპტკვნის,
შიშით სულდაგუბულო,
ნიტავი რას ემგვანები
უბუმბულო, უფულო!

ფალი-ოდილავაძე

ბეუგაევლ. ბეუგაევლ და ჩაქრა

(ნოფ. გლდანი)

ეს არც ზღაპრის სათაურია და არც გამოცანისა: გახლავთ სოფელ გლდანში ამას წინათ გაყვანილი ელექტროგანათების თავგადასავალი.

საქმე ასე დაიწყო: სოფელმა საპირო თანხები შეკრიბა და „სოფლელექტროს“ მიართვა. „სოფლელექტრომ“ თავის მხრივ მოაგროვა რაც კი დამპალი ბოძები და ზონრის ნაწყვეტები ჰქონდა და გლდანელებს გამოგვიგზავნა. აწრიალდა დიდი და პატარა, ბოძები ერთმანეთზე „დაკერეს“ და ნამყენებიანთ ჩაამწკრივეს, ზედ მავთულის ნაწყვეტები გააბეს, შიგ დენი გაუშვეს და კოტა ლამპიონები აციციმეს.

ისეთი სიხარული შეგვიდგა გლდანელებს, ქუდს ჰერში ვისროდით. მაგრამ ჩვენი ცოდვა ეკითხოს ამას წინათ ამოვარდნილ პატარა ნიაესა და ჩამბარდნილ თოვლს: ისე მიატრიალ-მოატრიალა ეს დამპალი ბოძები, ისე მიაყუდა ერთმანეთზე, როგორც მთვრალები, ზედ კი მავთულის ნაწყვეტები ჩამოჰკიდა.

სადღაა ჩვენი ლამპიონები?

ბეუტავდა, ბეუტავდა და ჩაქრა. ისეც ნურაფერმა შეგაწუხოს, ძვირფასო ნიანგო, როგორც მთის ანთებაზე თავს აღარავინ იწუხებს.

კ. გლდანელი

ბინა ჯახელთან, ანგ. ინგირის ბინა ოსტერია

ინგირის სადგურის მოსაცდელ დარბაზში შეგიცდათ ფეები. იქ იმიტომ შეხვედით, რომ გარეთ წვიმდა... მაგრამ ეს რა არის? მაღლიდან თქვენი მოდის, იატაკზე გუბეა, და თქვენ ორნაირ

აბაზანას ღებულობთ: მაღლიდანაც და დაბლიდანაც.

— რატომ არის ასე? — ეკითხებით სადგურის უფროსს პანტე გაბელიას.

— იმიტომ რომ სახურავიდან წყალი ჩამოდის.

— რატომ არ შეაკეთებთ?

— რატომ უნდა შეეკეთო, როცა სადგურის ახალი შენობა იგება.

— როდის იქნება მზად?

— როცა დამთავრდება.

— სალარო მოდამ დაკეტილი რომ არის, ბილეთები როგორ უნდა შეეძინოთ?

— თქვენ რატომ უნდა გაისარჯოთ, როცა ბილეთებს რკინიგზელები გამოიტანენ და იმათგან შეგიძლიათ იყიდოთ.

— ისინი გასამრჯელოს თხოულობენ.

— აბა, რა მოვალენი არიან უგასამრჯელოდ გაისარჯონ?

— მე სოფელ შამგონის კოლმეურნეობის საპუროებისათვის ხე-ტყე გამოვგზავნე, აქ ორი კუბმეტრი მასალა დამაკლეს თქვენმა მუშაკებმა.

— რა ვუყოთ მერე? ხე-ტყე ისეთი რამაა, რომ ის რკინიგზის მოსამსახურეებსაც სჭირდებათ.

მართლაც რა უნდა უყოთ, როცა გაბელიას ჰგონია, რომ სადგურის უფროსი მოვალე არ არის აზრუნოს მგზავრებისა და კლიენტების მომსახურებაზე? რამდენადაც ვიცით, რკინიგზის სამმართველო კი სრულიად საწინააღმდეგო აზრისაა და გვჯერა ამ აზრს გაუზიარებს გაბელიას.

ქადარია

ვინ მყავს მე კმაყოფაზე?

ოცდაათი წელი შემისრულდა და ცოლ-შვილი არა მყავს. მე ამის შესახებ დავფიქრდი მხოლოდ გუშინ, როცა საკოლმეურნეო ბაზარზე კილო ჯონჯოლი 4 მანეთი ღირდა.

მე ერთი რიგითი მოქალაქე ვარ... როგორც ზევით მოგახსენეთ, ცოლ-შვილი არა მყავს, ვცხოვრობ კარგად და ვიცხოვრებდი უფრო უკეთესად, რომ კმაყოფაზე არ მყავდეს ოცი-ოცდახუთი ცოლ-შვილი.

— მილიციონეერ! — იყვირებს მკითხველი. — შეიპყარით ეს მრავალცოლიანი უცოლო რიგითი მოქალაქე!

მოითმინეთ, მკითხველო, რა გაყვირებთ? ჯერ მომისმინეთ. მე ვიმეორებ, რომ კმაყოფაზე მყავს 20-25 ცოლ-შვილი მაშინ, როდესაც ვითვლები უცოლოდ და არც ერთი შვილი არა მყავს.

მე სულ სხვანაირი კაცი ვარ. მაგალითად, რას იხდით თქვენ ერთ კილო ჯონჯოლში? ოთხ მანეთს, არა?.. მე კი ვიხდი 30 მანეთს.

აი, მაგალითად, შევდივარ მე „საზკვებტრესტის“ რომელიმე რესტორანში. ვთქვათ, შევუკვეთე მწვადი და სანამ იგი შეიწვოდა, მოვითხოვე ჯონჯოლი, ან სხვა რამ. მომიტანეს ჯონჯოლი — წონით არა უმეტეს ასი გრამისა. გიახელით მწვადი, ლიმონადი, პური და ჯონჯოლი. ანგარიშის გასწორების დროს აშკარად მომპარეს ერთ მწვადზე ერთი მანეთი, ორ ლიმონადზე—ერთი მანეთი, სამას გრამ პურზე – ერთი მანეთი და ას გრამ ჯონჯოლში ამაფცქვნეს სამი მანეთი, ანუ კილოში 30 მანეთი. სულ დამცინცლეს 6 მანეთი.

— კაცო, სინდისი გაქვთ თქვენ? — ვეკითხები ოფიციანტს.

— სინდისი არ გვაქვს, ბატონო, თუ გნებავთ, ბუღლამას მოგართმევთ! — მიპასუხებს სხაპასხუპით და დაუფიქრებლად ოფიციანტი, რომელსაც სინდისი და ბუღლამა ერთი და იგივე საგანი ჭგონია.

— ას გრამ ჯონჯოლში 3 მანეთს რომ მახდევინებ, რას ფიქრობ?

— ფიქრის დრო სად გვაქვს, ბატონო, ხომ ხედავთ სავსეა რესტორანი! — მომაყარა ეს სიტყვები, შემდეგ მეზობელ მაგიდას გადასძახა „მოდის ექვსი ბოთლიო“ და გაჰქრა.

— ექვსი მანეთი ამაფცქვნა ამ უსინდისომ! — წამოვიძახე ისე ხმამაღლა, რომ ჩემს მეზობლად მჯდომი მოქალაქე გამომეხმაურა:

— რა ვუყოთ მერე? — თქვა მან, — განა მარტო თვითონ ჩაიდებს ჯიბეში!.. ზოგს მებუფეტეს მისცემს, ზოგს — გამგეს, ზოგს — ინსპექტორს... ყველას ცოლ-შვილი ჰყავს, ყველას სურს საკუთარი ოდა ჰქონდეს ვაკეში...

დაღონებული გამოვედი გარეთ...

დაღონებული მარტო იმიტომ კი არა, რომ რამდენიმე მანეთი ამაფცქვნეს, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენს დროში, რომელიც სავსეა გმირობით, მამაცობითა და კეთილშობილებით, რატომ უნდა მყავდეს მე კმაყოფაზე „საზკვებტრესტის“ რესტორნების ოფიციანტებისა და მებუფეტეების ცოლ-შვილი!

. . . . . .

მივდივარ დაფიქრებული. გრიალით ჩამიქროლა ტაქსმა და კიდევ უფრო დავღონდი. იმ ტაქსის შოფრის ცოლ-შვილიც ხომ ჩემს კმაყოფაზეა!

ზოგ ტაქს-მანქანაზე მრიცხველი დგას და საკუთარი თვალით ჰხედავ, თუ რამდენია შენი ზარალი. მაგრამ ყველა ტაქსმანქანას მრიცხველი არა აქვს. ასეთ მანქანაში მთლიანად დამოკიდებული ხარ შოფრის სინდისზე, ხოლო თუ რამდენად შესაძლოა ენდოთ ზოგიერთი შოფრის სინდისს, ალბათ, მოგეხსენებათ.

ამას წინათ მარქსის მოედნიდან უნივერსიტეტამდე მრიცხველიანი ტაქსით მისვლა დამიჯდა 6 მანეთი და 80 კაპიკი, უმრიცხველომ კი 12 მანეთი გადამახდევინა.

— რატომ შვრებით ამ საქმეს? — ვუსაყვედურებ შოფერს.

— არა გჯერათ, რომ 12 მანეთია გადასახდელი? თვითონ შეამოწმეთ. აი, ამ მრგვალ აპარატს ხომ ხედავთ? ამას ისრები აქვს, ერთი ისარი აჩვენებს კილომეტრს, მეორე—ნახევარ კილომეტრს. ამ ციფრებს ხომ ხედავთ?.. აი, ნახეთ...

ერთი კი შევხედე რაღაც ისრებსა და ციფრებს, თვალები ამიჭრელდა, გადავიხადე 12 მანეთი და გადმოვედი მანქანიდან.

— ცოლ-შვილიანი იქნება, — გავიფიქრე, — საკუთარი „პობედისათვის“ ფულს აგროვებს...

. . . . . .

ლენინის რაიონში, „პრავდის“ ქუჩაზე აბანოა. ამას წინათ მე იქ წინასწარ დავიჯავშნე ნომერი და გადავიხადე 5 მანეთი. უნდა მივსულიყავი მეორე დილით 8 საათზე, მაგრამ გადავაცილე ათი წუთი.

— თქვენ დაკარგეთ რიგი! — გამომიცხადა მოლარე ქალმა, საკმაოდ სიმპათიურმა და თავაზიანმა.

— სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა. თუ შეიძლება ხვალისთვის დამინიშნეთ.

— სიამოვნებით, ოღონდ გადაიხადეთ ხუთი მანეთი.

— აკი გუშინ გადავიხადე?

— ის დაკარგულია რიგთან ერთად. ასეთია კანონი.

— ყოვლად შეუძლებელია! — ვამბობ და შევდივარ აბანოს გამგესთან.

— ნუ ღელავთ! ისე ჩასთვალეთ, თითქოს ხუთი მანეთი არც გქონიათ. ამის შესახებ არსებობს ქალაქის საბჭოს დადგენილება... აი, წაიკითხეთ.

გადავიკითხე და შევყვირე:

— აქ სწერია, რომ მოქალაქე კარგავს რიგს დანიშნული დროის გადაცილების შემთხვევაში... რიგს და არა ფულს!

— მანდ სწერია, რომ კარგავს რიგს, მაგრამ არ სწერია, რომ არ კარგავს ფულს, ე. ი. არ სწერია, რომ ფული უნდა დაუბრუნდეს პატრონს.

— ეს თავისთავად იგულისხმება.

— ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ არ იგულისხმება... ჩვენ არასოდეს არ დაგვიბრუნებია ფული დაგვიანებული მოქალაქისათვის. მიბრძანდით, მობანავე მოქალაქეებს ნუ აღელვებთ.

— ესე იგი მახდევინებთ ხუთ მანეთს!

— ასე გამოდის.

ხუთი მანეთიც წამართვეს, დროც დავკარგე და ნერვებიც ამეშალა.

დავაპირე მეჩივლა პირდაპირ აბანო-საპარიკმახეროების ტრესტში, მაგრამ თავი შევიკავე. აბანოშიც ხომ ცოლ-შვილიანი ხალხი მუშაობს!

. . . . . .

— ასეთ შემთხვევებში, — მირჩია ერთმა მეგობარმა, — არასოდეს და არავის არ უნდა უჩივლო. ჩივილი ვაჟკაცის საქმე არ არის... რა ვუყოთ, ზოგი 10 მანეთს ჩამოგრჩება, ზოგიც ხუთ მანეთს... ყველას ცოლ-შვილი ჰყავს, ყველას სურს საკუთარი „პობედა“, პიანინო და პატარა, ორსართულიანი ოდა ვაკეში.

— კაცო, ცოლ-შვილიანი მამაჩემიც კი იყო, მაგრამ სხვის კმაყოფაზე კი არ ჰყავდა! — ვამბობ მე გაცეცხლებული. — მეც ხომ ისეთივე რიგითი მოქალაქე ვარ, როგორიც ისინი? რატომაა, რომ მე არათუ მყოფნის ჩემი შრომის საფასური, არამედ ყოველდღიურად ხარკსაც კი ვიხდი ზემოთ დასახელებულ მადაბლილთა სასარგებლოდ!

— მერე, თქვე დალოცვილო, თქვენი მადა და მათი მადა ერთია?!

— არა, არა, დღეიდან გადაწყვეტილი მაქვს არც ერთ კაპიკს არავის არ შევაწევ. მე თვითონ შევირთავ ცოლს... რაღა სხვისი ცოლ-შვილისათვის ვიზრუნო...

ბ. ლიაძე

ნახ. ა. კანდელაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ წელს—ახალი მეთოდით...

ნახ. დონისა



— ღვინოს წყალს ნუ დაასხამ, ბიჭო, აფსუსია, გაფუჭდება. წყალს დაასხი ღვინო. დე, ისევ წყალი გაფუჭდეს... ახალი წელია, ახლებურად ვიმუშაოთ!

შემორჩენილი ანდაზები

● სიდედრი დირექტორს მოუკვდა, საწყობის გამგე კი ტიროდაო.

● მლიქვნელი მოადგილეს რად აქებსო და უფროსი შვებულებაშიაო.

● ჭეხაშედ დადგა იონა, ცხოვრება გაიიოლა.

● ინჟინერი კლუბს აშენებდა და ერთი „ულუპი" ჩემთვისაც იყოსო.

● ჰეტრე ჰაკლეს როგორ წაასწრებდა, ჰეტრე ჰაკლეს თვითონ ასწრებდაო,—მექრთამე რევიზორზე იტყვიან.

შეკრიბა ბიამ

შინ

ნახ. ი. ქოქოაშვილისა

— დედიკო! ამ მეოთხედში არც ერთი ორიანი არ მიმიღია!?

სკოლაში

— მართალია... სკოლაში არ დადიოდა...

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги". რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროს პ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1952 წ. 16/1 ფერადი ბეჭდვის სტამბა, ბარათაშვილის ქ. № 10/1 წეკ. № 47 გამოც. № 1 | ტირ. 15.000. უე 00315.

52-60

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორესტოლის ტოლი

თურქეთის მეჯლისის დეპუტატს შევქეთ მოჯანს ორი-სამი კაცი ჰყავს მოკლული, მიუხედავად ამისა დაუსჯელი დადის, რადგან სიგიჟის მოწმობა აქვს. შეიქეთ-ეფენდი ამას წინათ კომუნისტების განადგურებას მოითხოვდა.

გაზეთებიდან

შევქეთ-ეფენდი ზეიმობს, რომ ფორესტოლის ტოლია,—
ყირაზე ახლა თურქი დგას, კედელზე—ფორესტოლია!

ნახ. გ. ლომაძისა